საქართველოს მთავრობის

დადგენილება №94

2026 წლის 27 თებერვალი

ქ. თბილისი

ჰიპერპოპულაციის მართვის მიზნით ძაღლების მოშენებაზე მორატორიუმის შესახებ

მუხლი 1

„შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქვეყნის ტერიტორიაზე, ამ დადგენილების ამოქმედებიდან სამი წლის განმავლობაში, გამოცხადდეს ძაღლების მოშენებაზე მორატორიუმი, პოტენციურად მომეტებული რისკის ძაღლის, აგრეთვე სხვა ჯიშის ძაღლის ჰიპერპოპულაციის მართვის მიზნით.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა გავრცელდეს:

ა) პოტენციურად მომეტებული რისკის მქონე ისეთ ძაღლებზე, როგორიცაა: ამერიკული პიტ ბულ ტერიერი (American Pit Bull Terrier); ფილა ბრაზილეირო (Fila Brasileiro); ამერიკული სტაფორდშირის ტერიერი (American Staffordshire Terrier); არგენტინული დოგი (Dogo Argentino); ტოსა ინუ (Tosa Inu); კანე კორსო (Cane Corso) და სტაფორდშირ ბულ ტერიერი (Staffordshire Bull Terrier);

ბ) სხვა ჯიშის ძაღლებზე, კერძოდ: ციმბირული ჰასკი (Siberian Husky) და ალასკური მალამუტი (Alaskan Malamute).

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №395 - ვებგვერდი, 19.08.2026წ.

მუხლი 3

მორატორიუმის მოქმედების პერიოდში მორატორიუმზე კონტროლს განახორციელებენ სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო და მუნიციპალიტეტების უფლებამოსილი ორგანოები.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**